საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოხუა მერაბ რაჟდენის ძე

მ. ბოხუა

ბოხუა მერაბ რაჟდენის ძე (დ. 18. V. 1949, გუდაუთა), კარდიოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი (1992). სსრკ სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1989).

1973 დაამთავრა თბილ. სამედ. ინ-ტი. 1973–95 მუშაობდა თერაპიის სამეცნ.-კლვ. ინ-ტის ინფარქტის განყ-ბაში წამყვან მეცნ. თანამშრომლად. 1995–2012 – სამკურნ.-დიაგნოსტიკური ცენტრის კარდიოლ. განყ-ბის ხელმძღვანელია. 2012-იდან ხელმძღვანელობს დაწესებულებას „კლინიკა მცხეთის ქუჩაზე“.

შეისწავლის სხვადასხვა მედიკამენტური საშუალების ფარმაკოდინამიკას გულის რიტმის დარღვევის, არტერიული ჰიპერტენზიის, მიოკარდ ინფარქტის და სხვ. კარდიოლოგ. დაავადებების დროს. ბ.-ს მიერ შესწავლილი და გამოყენებულია ლაზეროთერაპიის ეფექტურობა გულ-სისხლძარღვთა სისტემის და სხვადასხვა პათოლოგის სამკურნალოდ. ბ. არის მრავალი სამეცნ. შრომის ავტორი, მ. შ. 2 მონოგრაფია და 50 გამოგონებაა. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები. მ. შ. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი (1995), ღირსების ორდენი (2001).

თხზ.: Лечение ишемической болезни сердца гелий-неоновым лазером, Тб., 1993 (თანაავტ.).